



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**



KA020153454007222

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 1458/ს

30 / დეკემბერი / 2022 წ.

**შპს „სოილ ჯორჯია“-ზე (ს/კ 404934933) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის
მოპოვების N1005518 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 25 მაისის N717/ს ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შპს „სოილ ჯორჯია“-ზე (ს/კ 404934933) საკუთრებაში მთლიანად გადაცემა და გაცემულ იქნა ლიცენზია N1005518, 2028 წლის 08 სექტემბრამდე მოპოვების უფლებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სკინდორის ტერიტორიაზე, „სკინდორის“ კირქვის (სალორდე) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის N2578 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციით, დასტურდება შპს „სოილ ჯორჯია“-ს დირექტორისა და 100 %-იანი წილის მფლობელის რატი ვაჭარაძის გარდაცვალების ფაქტი.

2021 წელს, სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადის დარღვევის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, შპს „სოილ ჯორჯია“-ს მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. სასამართლო განხილვისას, გამოირკვა რომ ლიცენზიის მფლობელი კომპანიის დირექტორი და 100 %-იანი წილის მფლობელი რატი ვაჭარაძე გარდაცვლილია. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 06 აგვისტოს დადგენილების (საქმის N4/89-2021) საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შპს „სოილ ჯორჯია“-ს მიმართ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების პროცედურების გატარებამდე, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, შპს „სოილ ჯორჯია“-ს დირექტორისა და 100 %-იანი წილის მფლობელის რატი ვაჭარაძის მემკვიდრის დადგენის მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ნოემბრის N22/8900 წერილი გაგზავნილ იქნა საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, კომპანიის გარდაცვლილი დირექტორის მემკვიდრის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის N 16/13669 წერილით, სააგენტოს ეცნობა, რომ ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ არის რეგისტრირებული ჩანაწერი შპს „სოილ ჯორჯია“-ს დირექტორის და 100 % წილის მფლობელის გარდაცვლილი რატი ვაჭარაძის (პირადი N18001016895) სამკვიდრო ქონების შესახებ სამემკვიდრეო საქმის წარმოების მიმდინარეობისა და/ან განხორციელების თაობაზე.

ვინაიდან, ლიცენზიის მფლობელი კომპანიის დირექტორი და 100 %-იანი წილის მფლობელი გარდაცვლილია და არ არის რეგისტრირებული ჩანაწერი სამკვიდრო ქონების შესახებ სამემკვიდრეო საქმის წარმოების თაობაზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს ლიცენზიის გადაცემა მემკვიდრეობით. ამასთან ლიცენზიის ამგვარ მოცემულობაში არსებობის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა. სააგენტო ვერ განახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს.

შესაბამისად, ცალსახაა, რომ სახეზეა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7⁵ მუხლის 1² პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტისა და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის N2578 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წიაღის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 25 მაისის N717/ს ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) შპს „სოილ ჯორჯია“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005518 ლიცენზია, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფ. სკინდორის ტერიტორიაზე, „სკინდორის“ კირქვის (სალორღე) მოპოვების მიზნით;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



ანდრო ასლანიშვილი